იღვა ბებერი დათახულუ ჩადრით
და საფლავების კარებს ჰკეტავდა.

მე ეხლა გული ვადავიარბე,
ბედმა ასე როსტის ოზანტა...
ვადაქანება ისევ ყიოზზე
და უფსკურულბით ახალ მიზანთა.
მე სხვა ქვეყანა უფრო მინდოდა
და ვადავარნა სხვა შევრეკვლებთია,
ესლა ქარია. უამინდობა
და ისევ ცრემლი დაღლილ თავლებთან.

დიდაო ნინო. ნინო ასული.
ჯვარზე აქედის თმები დამწწან
სჩანან სარკესი ფერგადასული
სიგივე, დღერთა და დიდამწიწი.

ი. მისაშვილი.

1924. ს. ქედი.
ნინოს საფლავი.

ჩვენის მხატვრები

იოსებ იმედაშვილი



ბ. ლუნაჩარსკის

— ვიცნობ რუსულ მამარ ენებს,
 ვიცი საქართველოცა,
 მაი მშვენიერს შეიგონებ
 ზღვა, კლდე, ტყე და მდელოცა.
 ქარიშხლიან დღეების
 წუთი მრავლგზით უნახავს,
 მაგრამ სველას წაძლებს
 გზებით გამოუნახავს...
 პოეზიის ამ სანერგებს
 შოთა თან სდევს გულითა,
 აფოლაღებს, ამავრებს
 ქართლ-კახურ სიყვარულითა...
 თავს ევლება ფრთა ორბის
 და ყვეილი მცინარე,
 შიდიან ას გზით ჩამორბის
 ას-წლოვნი მიდნარე.
 მას უკუთნან აერთებს
 გამპვირვილე სიტყვის თქმა
 ცით ამ აზრებს აღმერთებს
 ჩუმაღ, რომ გაირითმა).
 'შენთვის მუდამ დაგრიებით
 წმინდა ფრთები ცის წეროს
 და მსურს ტანით ფარჩებით
 ფიქრამ გამშვენიეროს.

იოსებ იმედაშვილი

იენისი, გარკვეული ქალაქი.

ალბის ცეკვა

იოსებ იმედაშვილის პიკრდან. ნახატი ვ. მანარობლიძისა.

იხ. „ათ და ცხ.“ № 11 „მასწ.“—მხატვარი“ და მოწიგალი № 16-ბი.

თოვლი

მოღის ღამე მძიმე
 სიჩუმე და თოვლი:
 მხოლოდ ქარს არ სძინავს,
 თოვლის ფიფქვთა ქროლვით.

და უდაბნო თეთრი
 რაოდ სველას მალავს:
 ქარი ფიფქვებს ათრევს,
 ქარი ფიფქვებს ღალავს.

და თოვს ისე სუფთათ,
 ვით ცრემლს თვალის გუბე...
 თოვლი ისე სუსტი,
 როგორც ბავშვის კუმბო...

თოვლი—მეფე ღირი
 შემოილი და მკრთილი:
 საღივც ბნელში სტირის
 დაცემული ქალი.

თამარ გოგელია.



მ. ი. ლომოვს

სახელმწიფო ოპერის პრიმა-ბალერინა (ოპერტი და ცხოვრება“ს საღამოს სახსოვრად, ივლისის 5 ანალ კლუბში).

გასტროლის თეატრი

ამ ხანებში სხვადასხვა დასთა შორის ტუ ეწვია გასტროლის თეატრი—ნიკ. მ. ფორეგერის სახელსწრის, რომელმაც ძალზე მიიზიდა ტუ. საზოგადოების ყოველი წრე და საზოგადოებაში და პრესაში აზრთა შეხლა-შემიხლა გამოიწვია. ამ აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა ფორეგერის მიერ გამოართული დისკუსიები.

გინ არის და რას წარმოადგენს ფორეგერი?



ნ. მ. ფორეგერი.

ახალ თეატრის და ცეკვის სახელმწიფოს ხელმძღვანელი.

ნიკ. მის. ფორეგერი ვინგრელი ნემენცია, ახალგაზრდა, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი, მსახიობი. მოსკოვში იგი საკამერო თეატრის რეჟისორ თაიროვთან მუშაობდა, შემდეგ საკუთარი სახალხო თეატრი შექმნა. პირველხანად ეს თეატრი სხვაგვარად საავტორო პიესებს, შემდეგ პაროდებს—ცხოვრების ყოველ სიმბინჯებს სასაცილოდ იღებდა. ყოველივე ამას ასრულებდა ბუფონადისა და გროტესკის გეგმით (რითაც მთელი მოსკოვის ყურადღება მიიპყრო და 1921—23 წ.წ. ერთ სახელოვან რეჟისორად ითვლებოდა), შემდეგ თან და თან ექსცენტრიულ თეატრზე გადავიდა. (მისი ერთი საუკეთესო დადგამათაგანია „ჩინაღის კუნძულთა საიდუმლო“ უკანასკნელ ხანში—„ცოცხალი მკვდარი“ ანუ „უფლის სუბანა“). დრამათთან ერთად ფორეგერმა დიდი ყურადღება მიაქცია ცეკვას და ცეკვა-თამაშის ახალ-ახალ სახეების შექმნაში უმაღლეს ხარისხს მიაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „მანქანის ცეკვა“ (მოსკოვში მუშათა წინაშე ამ ცეკვის შესრულების დროს ხშირად გაიგონებდით: „ი ჩემი მანქანა ასე მუშაობს, ეს ჩემი მანქანაა“). რეპერტუარში შეტანილი აქვს ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ერთი ცეკვანი, უმეტესად გაზარებული.

მის მსახიობთა თითქმის ნახევარზე მეტი მუშათა წრეიდან არის გამოსული, დანარჩენი—მდბიო მოქალაქენი, სუყველა საშუალო განათლებით, ზოგიერთებზე გათავებული აქვთ სამსახიობო სისწავლებელი.

ლი, სათეატრო ასპარეზზე მუშაობენ 5—6 წ. ქალები უმთავრესად მოსკოვის საბალეტო სკოლიდან არიან: ლიუდმილა სემიონოვა. ნად. გორონკოვა, ბარ. ალსკია, ევ. დანილოვა, ადა გოროდეცკია, თამ. ტომის, ტატ. ოსტროვსკია; ვაჟები: ნ. მ. ფორეგერი—მთავარი რეჟისორი - ლაბორანტი, იური გოლცივი - ლაბორანტი, ვლ. პეტროვი, თედ. არხი-ერევი, ივ. ჩეილოვი, ნიკ. პოსპეხინი, გრ. ნაუმოვი, გრ. შამშურიანი, ევ. დასკოი, პიანსტი—რადიო-დასის ყველა წევრებს საკუთარი ტანისამოსი აქვთ, საკუთარი ბუტფორია, რეკვიზიტო.

დასმა მცირე ხნის განმავლობაში სახელი გაითქვა ევროპასა და ამერიკაში. კინომ გადლო ლენტეხზე, ამერიკის პრესა დიდს ყურადღებით ეპყრობა. შრომის სპეციფიკო კავშირმა (ნოტა) მოსკოვში გადიო ამ დასის „მანქანის ცეკვის“ ნიმუშები მუშათა წრეებში შრომის პირობათა გასაუმჯობესებლად—შრომის დასაზოგავად. დასს განუზრახავს ამ ზამთარს ტფილისში დარჩეს, ადგილობრივი ცეკვებით რეპერტუარი შეივსოს და შემდეგ რუსეთსა და ევროპას ვაეგზავროს.

არიან ადამიანები, რომლებიც ტუტებს იპრუწვენ და მის ტანსამოსში გამოსულ ქალკეთა დანახვან, ვითომც სცხენინათ კიდევ, მაგრამ ამავე დროს ყველა ამჩნევს, რომ აქ არის ერთგვარი სიახლე, დრო-მოკმულ, ერთფეროვან სხეულის ცალმხრივ მოძრაობის მაგიერ მისი მრავალმხრივი ამტკეველება, რაიცა იწვევს სხეულის ყოველმხრივ განვითარება-გაჯანსაღებას, ხოლო რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ჩაიბუღებდეს და აღიზრდებდა, ეს ვინ არ იცის.

ფორეგერმა და მისმა დასმა დაამტკიცა, რომ ადამიანის სხეულს შეუძლიან ყოველმხრივი მოქნილობის გამოჩენა და ცეკვით სხვადასხვა მოღუნა-იღის გადმოცემა. ნახვთ მისი „მანქანათა ცეკვა“, „მომაკვდავი გედი“, „მატარებელი“, „მოქიშენი“, და მრ. სხ და მათი დარწმუნებით, რა შესაძლებია ადამიანს. ფორეგერი ჯერ კიდევ ძიებაშია დღესტრვით გამარჯვება.

იოსებ არიმათიელი.



ბალახმისტიპი არაბატოვი

(„თუ ტრი და ცეკვა“ სადამოს სახსტრად, ივლისის 5 ახალ კალენდრში)

ქანდაკება

(გაგორძელება. იხ. „თ. და ც.“ № 9).

ნინო. სთქვი! ბარემ ყველაფერი სთქვი! (კრემლებს მოიწმინდავს).

ლევ. მაპატიე, ნინო, მაპატიე.

ნინო. ჩემს თვალებზე უწვევლად მომდგარი კრემლი ნუ შეგაშინებს. სთქვი, რაც სათქმელი გაქვს. როლის გაჩქმენი?

ლევ. (დილონებული სდვას. პაუზის შემდეგ) მაპატიე.

ნინო. (ძველებური სიმტკიცით) თუ მონანიება გულწრფელია, შეასრულებ იმას, რასაც გმტყვი. აქ მილი! (საწერი მაგიდასთან მიიყვანს და სკამზე დასვა) იცოდე, ლევან, არილი ჩვენთვის ძალიან სასარგებლო კაცია. ბევრი სამსახური გავეცნია, ჯერ კიდევ ბევრი სამსახური გავეცნის გვიარდება. ამისთანა სასარგებლო ხალხის ესე ფუჭსაგაბათ მომძღურობა, როგორც შენ ჩაიღინე, არ შემიძლიან. ამიტომ დასწერე, რომ ყველაფერი, რაც დღეს მოხდა, შენი ნერგების ბრალია. ბოდიში მოიხადე და სთხოვე დარჩეს.

ლევ. ნინო! ეგ ხომ ჩემი საშინელი დამპყრობაა..

ნინო. დასწერე! (ლევანი მაგიდასთან დაჯდება. ნინო ზეიდიან დასცქერის).

უ ა რ დ ა

მისამდე მოქმედება.

ლევანის სახელოსნო. შუშაბანდიან ჭერიდან უხვად შემოდის სინათლე. იატაკზე რბილი ხატკრისფერი საფენია ვაშლილი. აქა-იქ კედელზე ფანქრით დახატული ესკიზები ჭკიოდა. მარჯვნივ უკანა კუთქულში კომერსანტის დაუთავადებელი ამტკრიანებული ბიუსტი. იქვე ახლო დაუმთავრებელი ბიუსტი, ბიუსტი და თახება. სკენის მარჯვნივ მხარეს რ.ს.პალერა დივანი და სავარძლები სდვას. დივანთან მაგიდა, რომელზედაც ყვეის სერვიზი აწყვიდა. სკენის მარჯვნივ მხარეს, ცოტა შუაგულ ადგილას, დასაყრდნობზედ ახალი ქანდაკების თანაა აღმართული. გადათავრებული სველ ტილოში ქალის სხეულის კონტურები მოსჩანს.

ფარდის ახდის სცენაზეა **ლევანი** და **ლუარსაბი**. ლუარსაბი დივანზე ჩის და ყვავსა სვამს. ლევანს ჯიბეებში ხელები უწყვიდა და დადის.

ლევ. (მცირე პაუზის შემდეგ) ეს გახუნებული პიჯაკი ყველაფერს ავიხსნის, ჩემო ლუარსაბო შენ ხომ რაღა დავმალე! ძალიან გავიჭირდა. ოჯახში ხარჯებს არ ამცირებენ. შემოსაღამა კი იკლო. უკან დაბევა აღარ შემიძლიან. (სიყვარულით ქანდაკებას უცქერის) ეს თინა, რომელიც ჯერ შენთვისაც აღუღწეოლებას შედგენს. მაღე მარმარილოს ქანდაკებად გადაიქცევა. ქარიშხალში სიციცხლე იწვა, მაგრამ... პიჯაკი კი შემომეცეთა. სხვაფერიც შეგინაირი გავიჭივებ მაშას. ხომ ხედავ, კომერსანტის ბიუსტი რა პირქუშად ჩამოაყურება? შემომწყრალი მყავს. რაც ეს ქანდაკება დაიწვიე, ხელი არ მომიკიდებია. გაგაგრებულმა ტანზე პიჯაკი შემომაცეთა. ეხლა ხომ გვისმის, ბოთაც დაგინარე სოფლიდან?

ლუარ. ალბათ კიდევ რამის გაყიდვას აპირებ ცოტა რამ მაინც დაიტოვე!

ლევ. მეტი გზა არ არის. (პაუზა)

ლუარ. იქნება იოლათ წავიდეთ. რამდენი გჭირდება. ყველაფერს ხომ ვერ გაჰყიდო? რაც საუკეთესო მიწები გაქონდა, გაჰყიდე. ენახი და დაგრა. იმეც რომ გაყილი, რაღა დაგჩრება?

ლევ. სხვა გზა არა მაქვს, ჩემო ლუარსაბო! ქანდაკებას ხომ თავს ვერ დავინებებ? ხომ იცი, ქანდაკება ჩემთვის ყველაფერია.

ლუარ. მაინც, რამდენი გჭირდება?

ლევ. საცხოვრებლად მინდა; ორი სამი თვე კიდევ როგორმე უნდა გავძლო.

ლუარ. (ჯიბეში ხელს ჩაიკრთვს) ცოტა ფული თან მაქვს. შემიძლიან მოგვე.

ლევ. (გამხარულბულით) რა კარგია! ავანს უკან დაუბრუნებ. რომ იცოდე, ეს წყვეული ავანსი როგორ მაშუბუნდა. რაც უნდა გატაცებული მიმეშვა, კომერსანტის ქანდაკებას შეგნდავდი თუ არა, სისხლი მიმღვრეოდა და ხალხის შეკარგებოდა.

ლუარ. რამდენი გინდა?

ლევ. ჩემმა ცოლმა მგონი ორობიცი თუმანი გამოართავა.

ლუარ. (ფულს გადასცემს) აპა. აქ ორობიცა ათია.

ლევ. (გრძობით ხელს ჩამოართმევს) მაღლიბელი ვარ, ჩემო ლუარსაბო! (ფულს ჯიბეში იდებს და თან თავისთვის ლაპარაკობს) ამას კომერსანტს მივცე... სალაპარაკო აღარაფერი ეცნებთ... მაღლობა ღმერთს... ველარავინ მისაყვედურებს.

ლუარ. (წამოადგება და კომერსანტის ბიუსტი-სკენ გაეპარება). ეს არის კომერსანტი? შენი შემოქმედებით აღმადურენა როგორაოც ამ ძვირფასი გავიძის ცხვირზე გაყინულა. რას ემათლევდი?

ლევ. აი დასწყველოს ღმერთმა მაგის გაჩენის დღე! მაგრამ კომერსანტი კეთილი და პატიოსანი აღმამიანი ყოფილა. წარმოიდგინე, გემოვნებაც ჰქონია. აი, ხომ ხედავ, ამ ადგილას, შუბლთან, პატარა ნაოჭი აქვს... ცოტა დაღვრემილ შთბეჭდილფასას ჰქვნიხს, არ ვიცი, იმასა ჰქონდა იმ დროს ნაოჭი, თუ ჩემმა გაბრაზებამ მისცა ასეთი გამომეტყველება. დახედა, გაიღიმა და მიიხრა, არ შეიძლება შუბლიდან ეს ნაოჭი მოსხნათ, დილონებულ გამომეტყველებას მაძღვეს, მე კი ოპტიმისტი ვარო. გემისი? ოპტიმისტი კომერსანტი ოპტიმისტი კომერსანტი სინაპტური აღმამიანი, ქანდაკება საძაფელი, დასწყველოს ღმერთმა!..

ლუარ. მაშ, მომავალი გამოიფინისთვის შენი ახალი ქანდაკება მზათ იქნება?

ლევ. უფრო ადრე. თინა თითქმის მზათა მაქვს. ცოტაოღონე შეეცეთება სქიორდება. (გრძობით) ნახავ, მაღე ნახავ, ჩემო ლუარსაბო! შენ ერთად ერთი აღმამიანი იყავი, რომელიც ცხოვრების საშინელ წუთებში მაშინვედები და იმედს არ მიკარავდა. როდესაც ამ ტილოს ჩამოვხსნი, დარწმუნდები, რომ შენს ამავს ბუქიალ არ ჩაუვლია! მაშინ ჩემი მტრებიც გაჩუმდებიან.

ლუარ. მტრები?

ლევ. (აღელვება შეიქმნევა, ქანდაკებაზე მიუთითებს) აი იმასა ჰყავს მტრები. მაგრამ ველარა-

ფერს გახდებიან. იგი უკვე ამასად აღიზარა, უკვე ცოცხალი არსებაა. ქალწულის ფეხბა ქვეშ უმწყროდ გაშლართული ადამიანის დაკომულ ძარღვებში ჩემი სისხლი ტრიალებს, სისხლი ჩემი გულსისა. მტრები კი ჰყავს. მტერი, რომელიც ყოველ წუთს იი აქ, ამ ოთახის კუნძულებში სდარაჯობს და თავის ბოროტი, შეურაცხველი თვალთ, განადგურების უკადის.

(გარედან ისმის არჩილის ლილინი: «ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ, ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ».)

ლუარ. ეგვიც ხომ შენი მტერი არ არის?

ლევ. (ლუარასად თვალღებში ჩაიკერდება) შენ გგონია, ადამიანის მტრები მდევ-გმირები არიან? ხომ იცი, უხილავე ვიბრინო სხეულს როგორა სწამლავს? ესენიც ცხოვრების ვიბრინებები არიან. საშინლად მრავლებიან და გვეწმალავენ. რას იცინი? ტყუილს ვამბობ?

არჩ. (ღიანი შეშოლის ქუდი ეკუთხე აქვს მოგებულთ, ჯოხს ხელში ატრიალებს) ტრალა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ! ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ! (ორთავეს ქუდა მოუხდის) სალამი დარბაისელთ! (ლევანი ოდნე თავს დაუკრავს, ლუარასაში ცნობისმოყვარებით უტყერის) რა შესანიშნავი სახე-ლონია! იი ეს მომწონს! ევროპულად არის მოწყობილი, დიახ, ევროპულად! წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავი იქნებოდა, იი ამ ქუთხეში იაპონური ვახა რომ დაგვადებთ. დიახ, ოთახი მაშინ უფრო დამშვენდებოდა იი ეს შირმა ცოტა აქეთ რომ მოსწოთ. მოითმინეთ, ეხლავე დაგილაგებთ. (შირმას ხელს წაავლებს).

ლევ. (ხელს დაუტერს) უკაცრავად, უკაცრავად!

არჩ. არა უშავსრა. მე ვე არ შემაწუხებს. პირიქით, მესიამოვნება კიდევ. წარმოიდგინეთ, უცხოეთში არტისტების წრეში ეტრიალებდი და არტისტებს ხომ იხით, როგორ უყვანი გემოვნებით მოწყობა. ესეც ხომ არტისტის ოთახია, ხელოვნების ტაძარი, სადაც შემოქმედება სდღეს და გადმოდღეს! დიახ, ხელოვნების ტაძარი! ღმერთს გფიცებთ, ეს შირმა რომ ცოტა აქეთ მოვწოთ...

ლევ. ღვთის გულისთვის, ღვთის გულისთვის! შირმა სულ სხვა დანიშნულებისათვის არის მოტანილი.

არჩ. (იციანს) ეგ სხვა საქმეა. არ ვიციდი. (შირმის უკან შეიხედავს. ცინიზმით) ტახტიც არის.

ლევ. (აღშფოთებული) ბატონო არჩილ. ნუ ვაიწყებებთ ვისთანა ხართ.

არჩ. (დარცხენილი) უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი. თქვენ, ბატონო ლევან, ამისთანა ეჭვები არ შეგებებთ... მე... ვიხუმრე... დიახ... ვიხუმრე.

ლევ. იმედია შემდეგში უფრო ფრთხილად იხუმრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს ევროპულ პერსონას შესაძლებელია ხიფათი რამ გადახდეს. მიიღეთ ჩემან ეს მიგობრული რჩევა და დაროგება.

არჩ. უკაცრავად. ბოდიშს ვიხდი. მე მხოლოდ იმიტომ მოვახსენეთ, რომ უცხოეთში...

ლუარ (უკუბად გამარჯებული წამოგორდება) აღარ გაიმეორეთ... აღარ გვინდა უცხოეთი...

არჩ. (შემკრთალა უკან დაიწვეს) რა დაგე-მართათ?

ლუარ. აღარ გვინდა უცხოეთი!

არჩ. ნუ გნებავთ, ბატონო! რალსა ბრაზობთ?

ლუარ. უცხოეთში ლორები არიან?

არჩ. რა გნებავთ მაგითი სთქვათ?

ლუარ. უცხოეთში ლორები არიან მეთქი?

არჩ. ბატონო ლუარასა, შე ნებას არ მოგ-კემთ მასხართ ამიგლოთ! ბატონო ლევან! თქვენ სახლში ვარ. გთხოვთ დაუმსახურებელი შეურაცხე-ფისაგან დამიფაროთ.

ლუარ. გეკითხებით, უცხოეთში ლორები არიან?

არჩ. (გაოცებული უკან დაიწვეს) რა გნებავთ, ბატონო! მე შელორე არ ვახლავართ და ამიტომ არც ვიცი, არიან თუ არა. თქვენ, ალბათ, ეგ ლე-თესად მოგესვენებათ, თუმცა უცხოეთში არა ყო-ფილხართ.

ლევ. (გადიხარხარებს) ვაჯობა, ლუარასა, ვაჯობა!

ლუარ. (გაცინება. ბუზღუნით). ევროპიელი! (გამობრუნდება და საეარქელში ჩაჯდება).

არჩ. ყოველ შემთხვევაში აქ იმიტომ არ მო-ვედი, შეურაცხევა და დაცინვა მოვისმინო. (ლე-ვანს) მე თქვენთანა მაქვს საქმე.

ლევ. რით შემიძლიან გემსახუროთ?

არჩ. კომერსანტი მოვიდა.

ლევ. რა მინდაო.

არჩ. ბიუსტის დამთავრებასა თხოულობს. მე-ონია უფლება აქვს. თქვენ როგორა ჰეიქებოთ, ბა-ტონო ლევან? რა უპასუხოთ?

ლევ. უფლება? კიდევ რა უფლება აქვს, ბა-ტონო არჩილ? ექნება სურს კისერზე თოკი მოვი-ბა, თოკის ზოლი ხელში ჩაუღო და ეხო.ეხო ვსილო იმ მასხარასალი, რომელიც თავის თაგს ბედნიერად მხოლოდ მაშინა გჩონობდა, როდესაც ბატონი თავ-ში წკებას უტყუაუნებდა.

არჩ. განა საეკვით მიგაჩნია, რომ კომერ-სანტი უფლება აქვს ბიუსტის დამთავრება მოგ-თხოვოთ? მან ეს უფლება იყიდა... დიახ... ფულოთ შეიძინა. იცოდეთ, ბატონო ლევან, კომერსანტი უხეი კაცია, მაგრამ დანდად არ იცის. მე, მოგვ-სენებათ, უცხოეთში კომერსანტების წრეში ეტრია-ლებდი და ვიცი. რომ პირობის დარღვევა დიდს დანაშაულად არის მიჩნეული.

ლუარს. მე ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ რა გაუწუხებთ?


არჩ. ეგ თქვენი საქმე არ ვახლავთ. (ლევანს) რაკი კომერსანტი თითონ მოვიდა, სჩანს.

(შემდეგი იქნება)

აღმოსავლეთის სამუსიკო საკრავები


ოსმალურ ეურ. მილ-ლი თათბოლარ მაჯმაიასი* 1331 ჰიჯრით (1912 წ.) მე-5 ნომერში „თურქ საზოარი“-ს სათაურით დაიბეჭდა მუსიკოს რაფე იქეთას წერილი. როგორც თვით რ. იქეთა აღნიშნავს, მას ხელთ ჩაერინა ჰიჯრით მეცხრე საუკუნეში დაწერილი ამავე ოლი შუქურთოლას დავთარი, საცა ცხრა სამუსიკო საკრავთა შინაარსი და ბგერაა აღნიშნული: 1. იკლი, 2. რეზაბ, 3. მულნი, 4. უდ, 5. მიხმარ, 6. უიშა, 7. ჩანგ, 8. კანუნ და 9. ნუშა. იქეთას „თურქულ“ სამუსიკო საკრავების დანამდვილებითი გასაცნობად ხსენებულ დავთარი ერთადერთ და უტყუარ წყაროდ მიიჩნია; ვგონებ იგი არც ჩვენთვის უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, რადგანაც ერთ დროს აღმოსავლეთის მუსიკალურ ხელოვნებით ჩვენც ვამაყობდით და უსათუოდ მის აღორძინების ხანაშიაც მივიღებთ მონაწილეობას.

ორიგინალის მთლიანად გადმოღება მეტად მიგვაჩნია, ვთარგმნით მხოლოდ ორ მუხლს—ჩანგი და მულნი. მიხმარ და უდიცა ჩვენში ცნობილი (ფ. გორჯიჯანიძის ნაშრომი 30, შაჰნაშეს ქართული ვერსიები, 203), მაგრამ შოთას მიერ ნაქმები ჩანგი უფრო გვიხიდავს:




„ჩაღანა და ჩანგი ტკბილი“ (პირველის შესახებ გვექონია საუბარი — „თეატრი და სპოვება“ 1918 წ. № 2; „ქართული სიტყვა“ 1924 წ. № 21), „მოვზორდი ღონისა ყოველსა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“ ან „ჩანგ, ბარბითი და ნა ცეპული“ (იგულისხმება: ჩანგი, ბარბითი და ნაი. უკანასკნელს ჩვენმა ლეჩხიოკორავებმა შეცდომით „ნა“ და „ნასა“ დაარქვეს).


მულნიც ძველად და ჩვენში ცნობილი: რუსულად-



ნაინი 551 (წ. კ. წიგნთსაცვის ხელთნაწერებში № 3698. რუსულნაინი დაწერილა XIII საუკ. ა. ხანაშვილი ქარ. სიტყ. ისტ. 421), დაბადება 1 მეფე 10,5 (დაბადება ქართულად გადმოითარგნა მეექვსე საუკუნეში. მ. ჯანაშვილის ნაშრომი III, 37). ორიგინალი დაწერილია ძველ ოსმალურ ენით და ბგერადგოს აზრი ძნელად ირკვევა; ჩვენ ვსარგებლობთ ენის ცოდნით და აგრედვე მუსიკაში მრავალწლოვანი პრაქტიკაც გვიადვილებს მის გადმოთარგმნას, რომელიც ექვს ვარეშე უნდა იყოს. წერილი გავვიგრტელდებოდა, მაილიანი კომენტარი რომ გავკეთებინა, მაგრამ ზოგ ადგოს კი ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ: მიხმარი (№ 5) ძველ ებ-



რავლეტი სიტყვა და ნიშნავს ფსალმუნს (იგივე აისორულადც Собр. материалов 1894 г. вып. XX); მაგვრად აქ საღამურს გვიჩვენებს: ქართული ფსალმუნი, სლავ.—სალტორ, არაბ.—სანთირ ანუ სანდორ (სანთორი); ეს საკრავი ებრაელურ დაბადებაში ნახმარია წილწოდ (ჩვენში ცნობ. წაწილა ფს. 150,5; შოთა 46; შათელი 41) და იგი საღამურს არ უნდა ნიშნავდეს. მუდრი, როგორც საკრავის სახელწოდება, გარდა ქართულისა არც ერთ ენაზე არ შეგვეცდრია (არაბული მულანნი—მომღერალი ანუ ლექსის მიქმელი, მუდრი მდიდარი ვინც).



სამწუხაროდ აღმოსავლეთის მუსიკას ჯერ არა უყავს ნამდვილი ისტორიკოსი; ჯერ-ჯერობით ისიც უნდა გვიანტერესებდეს, თუ მის შესახებ სადმე რაიმე თქმულა. (თარგმანი შემდეგ ნომერში).

ალ. დიანეზაშვილი.

ჩვენი ქალები

ქალთა მე-12 ტენნიკუმის დაბაზში ამავე ტენნიკუმის მე-7 კლასის მოწაფეთა მიერ ივნისის 5 მოწაფეობი იქმნა დილა მათ მიერ კერძის დამთავრების აღსანიშნავად.

დილის დაწყებამდე მასწავლებელმა როდიონ ქორტიამ მოკლე სიტყვით ამცნო დამსწრეთ, რომ იღვია, გეგმა ამ დილას შეემუშავებუი იყო თვით მოწაფეთა მიერ დამოუკიდებლად მასწავლებლებთან, რომლებმაც მხოლოდ ტენნიკუმის დახმარება გაუწიეს მათ. ბ-ნ ქორტიამ ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ამ დილაში სჩანს მოწაფეთა შეხედულება თავის დანიშნულებაზე და რომ ეს შეხედულება არის არა ნაჯარანავე, არამედ მოწაფის გონებით შექმნილი. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ დილა გვიჩვენებდა ქალს მონობიდან დაწყებულს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებამდე მთელი მისი მღვობარობის ტრაგიზმით, და რომ ამასთან პარალელურად ნაჩვენები იქნებოდა ტაბი ქალისა, რომელიც გამოიმუშავა ქართველი ერის ფსიხოლოგიაში ქართველი დიდის სახით.

დასასრულ მან აღნიშნა თვით მოწაფეთა შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს ქალი ესლა, როდესაც იქნება ახალი ქვეყანა.
დილა დიწყო მოწაფე ელენე მამაცაშვილის სიტყვით, რაც გაშუქება იყო აღებული იღვია. მოგვყავს ეს სიტყვა:

„დღიდან ჩვენ ფებს ვდგავთ ცხოვრებაში, როგორც საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრნი. ჩვენი მომავალი წინ არის. არ ვიტოვო როგორი ტენება ის; მაგრამ მისი ფესვები უწყვეტ ღრმად ვადგავთ. ჩვენში, საძირკველი ჩაყრილია. ამიერიდან ჩვენ გაქნებას უფრო ფართო ასპარეზი ეშობება წინ. ჯერ-ჯი ეს დილა მოწყობილი ჩვენი მიერ უკანასკნელი ნაყოფია ჩვენი გინაზისა კედლებში ნაშრომის. ჩვენი მომავალი დღეს უმძლეობისადაც ვარად სქემატიურად ასახვა ქალის ყოფნისა ცხოვრებაში ისტორიკალი მონა, ქალი-ღვდა, ქალი ადამიანი.“

მხოლოდ წარსულ საუქუნეში დიდი ხნის მონობის შემდეგ ქალი, გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე, როგორც ინტელექტუალური ძალა საზოგადოების, როგორც მისი მომქმედი წევრი.

მანამდე ქალი აღმოსავლეთში იყო მ-ნა დასული აზროვნებით და გრძობით და დასავლეთში — გასართობი, ბუღუარის დამამუშვენებელი ტრინა. თავისი ინტუიციით ქალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტრინობა ბუღუარში — ქურდიბაა ცხოვრებაში და ის გამოდის ბუღუარიდან, რომ შევიდეს ცხოვრებაში ანთებელი ჩიროდანი, რადგან შეიგნო მან, რომ:

„არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ესაგეოს.“

იყვეს-სოველში და სოველსა არაარა არგოს!.. დღეს პროცესია დიადი მეტამარფოზის: ქალი მონა და ქალი-ღვდა იქცევა ქალი ადამიანად. მას გზა ეხსენება, მაგრამ უკან ხევის დახვეწებული ტრადიცია, რომელიც კლავს მასში სიუკეთესო ლტოვლებს. შეიღია საუქუნეობით შექმნილ ტრადიციის აღმოფხვრისა; საჭიროა ბრძოლა. ბრძოლა კი მოითხოვს მსხვერპლს! ეს მსხვერპლი ჩვენგან იქნება ძველის დამთობა, გადაცდება და ქალის ახალი სახის შექმნა! სახის ღამაზის, — არა კეკლუქტ! შორს გამითავყვანებული ტრინობა! წინ, საღი და ღამაზი ცხოვრებისაკენ!“

დამსწრი საზოგადოებამ მხურავლი ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა მომხსენებელი. ამის შემდეგ დაიწყო თვით დილა, რომლის ყოველი ნომერი შეერთებულ იყო ერთი ძაუთი და ემსახურებოდა აღებულ იღვია. დილა სწარმოებდა შემდეგი პროგრამით:

განც. 1. „ღამა ქალი—ნ. ჩხვიასია,— ელ. მამაცაშვილი. „პარამ-ხანა“ აქვე; არტუქიას ზღაპარი“ მელიორელამაცია ნ. სხივიშვილი; აღმოსავლეთური ცეკვა“,— ქეთ ბოკერია.



მე-12 ტენნიკუმის მე-7 კლ. კურსის დამთავრების აღსანიშნავად მოწყობილ დილის მონაწილენი: ელ. მამაცაშვილი, თამ. ქველიძე, ქეთ. გაბუნია, ნ. სხივიშვილი, ქეთ. ბოკერია, ელ. დათაძე.

ალსანიშნაია, რომ ცეკვის ფიგურები შეკრებილი და შეთანხვებულია თვით ბოკერისა მიერ, რომლის ყოველ მოძრაობაში შესანიშნავად გაღწეული იქნა თვით მონა ქალის განცდა.



ქეთევან ბოკერია მონა ქალის ცეკვის ასრულებს (საკუთარი). *მონაქალი?*

განყ. II. „ქართველი დედა აცხანან“ — სურათად. „იანგინანა“ (სცენის გარედ).

ტატიშვილი, ბოკერია, გვარჯილაძე, ლაბრიშვილი; „ქართლის დედას“ ლექსი ილ. ქავეჭავაძის. თამარ ტოპელბერგი. „დედა და შვილი“ — ილ. ქავეჭავაძისა. დედა — ნინო სხიფიშვილი. შვილი — ქეთევან გაბუნია.

განყ. III. იბსენის „ტიტინათა სახლიდან“ ნაწყვეტი. ნორა — თამ. ქელოციძე; გელმერი — ელ. დათაძე. „ქალი ჩირალდანი“ — ლექსი ლიდიანის. ელ. მამაცაშვილი.

მონაწილეობდნენ VIII კლ. მოწაფენი. აწმარად მასურებელთა თვალწინ გაიარა ქალის სახემ მონობიდან დაწყებული იბსენის ნორამდე და დასასრულ ლექსი „ქალი ჩირალდანი“ ერთგვარი რეზიუმე იყო დილისა: აქ ქალი მონა პარამ-ხანის ვიწროებიდან გამოდის ცხოვრების გზაზე და ხელი-ხელს გაყრილი მამაკაცთან მიდის წინ ზღაპრის შესაქმნელად. მაგრამ უღმობილო ცხოვრება ამსბერეეს ოქროვან ოცენებათა და თითქმის მგობარა-ქაბარი უსაშინელეს დესპოტს აჩენს. ქალი მანქანა აეტომატიურად დამოკიდებული თავის ქმარზე...

მეღვლით ინტრევა და ქალი ანთებული ჩირალდანი აბიჯებს ვიწრო ბუღუარის ღირეს და შე-

ეფუართე ცხოვრებაში უზაკო სიყვარულით და დაკარგული სიცილით.

აქ არის მთელი სიმძიმე ამ დილისა: მოწაფეობა შეიღო ცხოვრებაში ამ ანთებუ-ი ჩირალდანი და ლამობს ქალის ახალი სახის შექმნას, სილი და ლამობს ცხოვრების მოწყობას.

დილის დადგმა იყო მსახიობ საშა ლორთქიფანიძის, რომელმაც განსაკუთრებულიღვდერი და სიკოცხლე მისცა ყოველივე.

დამსწრე საზოგადოებაში და მოწაფეებმა სცენაზე გამოიჩინეს და სამადლობელო ტანით დააჯილდოვეს მასწ. რ. ქორქია, კლასის დამრიგებელი მარიამ სოხაძე, სასწავლებლის გამგე - გ. გვეგულაშვილი და დილის დამდგელი სახ. თეატრის მსახიობი საშა ლორთქიფანიძე.

დილამ საამო შთაბეჭდილება დასტოვა თვისი შინაარსით, სიცხოველით და სანუგეშო იმედით აღვივისო.

ი. ა.

სრულიად საქართველოს კართველ მსახიობთა კავშირის ჟრილობა

(მოკლე ანგარიში)

იენისის 12-ს ტუილისში, მუშათა სასახლის დარბაზში, გაიხსნა ქართველ მსახიობთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ორასამდე წევრი.

ყრილობა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ფილაგამ, რომლის წინადადებით ყრილობა ფეხზე აღდგომით პატივსაც სცემს მსოფლიო რევოლუციის ბელად ვლ. ლენინის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ქართველშვილისა და ახლად გარდაცვალებულ რეჟისორ ვ. მჭედლშვილის ხსენას.

ყრილობა ირჩევს საბატო თავმჯდომარეებად: ა. ლუნაჩარსკის, ა. სუმბათაშვილ-იუენის, დ. კანდელაკს და ე. მარჯანიშვილს.

პრეზიდიუმში: თავმჯდომარეებად ვ. გუნია, ალ. ახმეტელი და მ. ქორელი. მიდენებად: ფ. ფონისპირელი და ა. გუგუშვილი.

დიღურ წესრიგის დამტკიცების შემდეგ საბჭოს მოქმედების და წლიურ ანგარიშების შესახებ მოხსენებები გამოდიან: ფალავა, ვასაძე, ჯიქია და ხორავა.

მცირე კამათის შემდეგ ყრილობა ამტკიცებს როგორც საბჭოსა, აგრედვე საყვეხიო კომისიის მოხსენებებს.

საყურადღებო მოხსენებებს აყვებენ აგრეთვე ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის წარმომადგენენი.

როგორც გამოირკვა, სათეატრო საქმე რამდენადაც კარგათა და მტკიცეთ ყოფილა დაყენებული ქუთაისში, იმდენად მოისუსტებდა ბათუმსა და სოხუმში. განსაკუთრებით ბათუმში ქართ. თეატრის ბედი იმდენად ნიდაგა - შესუსტებული აღმოჩნდა, რომ ყრილობა იძულებული გახდა განსაკუთრებულ

გულისყურით მოპყრობდა და სათანადო ზომების გამოწახება მიენდო მომავალ ახალ საბჭოს.

წევრთა სისი გადასასინჯავად და ახალ წევრთა მისაღებად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია. ყრილობამ მოისმინა მოხსენება ჩვენი კინო-წარმოების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასცენარო ამოსაღებ სიუჟეტის და სხვა ყოველმხრივ საქართველო წარმოადგენს უსაზღვრო სიმდიდრეს, ხოლო კინოს სათავეში ამ ეპოქად მოქცეულნი არიან ისეთნი, რომელთაც სრულიად არა იციან-რა არც საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და არც კინოს უკანასკნელი სიტყვისა და ტენიკისა. ამისთანავა მუშაობებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ქართველ რეჟისორთა და მსახიობთათვის საქართველოს კინოს კარი გამოუკეტლია. ყრილობამ ყურადღებით მოისმინა ეს მოხსენება და შესაფერი რეზოლუციით დაავალა სიბჭოს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის მოწესრიგებას.

დენიძის კომისიის მოხსენები

ყრილობაზე ბევრი, ძალიან ბევრი საყურადღებო კითხვა გაიჩნა.

ეს ყრილობა, რომელმაც ვასტანა მთელი კვირა, ბევრად განირჩეოდა წარსულ ყრილობებისგან.

პირველი ხუთი დღე, ვიდრე არ გაიჩნეოდა „დურუჯის“ გამომცლის საკითხი, კრებამ ეტყობოდა ნაღმილი საქმიანობა, მაგრამ კორპორაციის შექმნის და მის გამოწვევებ მიუხეზდის ახსნა-განმარტებებსა და საერთო კამათმა მიიღო იმდენად მწვავე ხასიათი, რომ ამ საკითხს ვარემში ყრილობა გაიყო ორ ნაწილად: ერთის მხრივ იყვნენ ეგრედ წოდებული ძველი დამსახურებული მსახიობნი, ხოლო მეორეს მხრივ კორპორაცია „დურუჯი“ მთელის შემაღენლობით და დრამატული სტუდიის ახლად კურს-დამთავრებული ახალგაზრდობა.

როგორც ავღნიშენი, დურუჯზე კამათმა შეიძლია კრება შეიწირა და, დასასრულ, რეჟისორ ახმეტელის პირით „დურუჯმა“ განაცხადა, რომ ვინაიდან შეიქნა ისეთი პირობები, რომ ჩვენი ერთად ყოფნა, ერთად მუშაობა ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ჩვენი გზა დისციპლინისა და მიმართულების მხრივ სულ სხვადასხვანაირია, ამიტომ ჩვენ გავდივართ ამ კავშირიდან და ვფარსებთ ახალ მსახიობთა კავშირს.

ახალგაზრდ სტუდიელები აცხადებენ, რომ მათაც შეუძლებლად და შეუძლებლად მიაჩნიათ „ძელებთან“ მუშაობა და სტუდებენ დარბაზს.

ახალ კავშირში.

მსახიობთა კავშირის ახალ სექციის კრება იმართება იმავე დღეს, სტუდიის სარკის დიდ დარბაზში.

კრებას თავმჯდომარეობს ალ. ახმეტელი, რომელიც ესალმება ახალგაზრდებთან გვერდში მდგომი: აკ. ფალავას, ი. ზარდალიშვილს, ყორყოლიანს და სხვა.

ახალგაზრდა მსახიობნი ერთხმად აღნიშნავენ მტკაცვე კავშირის შექმნას და მუშაობას.

კრება სახეიშო ხასიათს ეღებულობს. ვ. ჯიქიას წინადადებით ტახალ მსახიობთა კავშირის საპატიო წევრად ერთხმად ირჩევენ კოტე მარჯანიშვილს.

* * *

უკანასკნელ დღეს ახალ მსახიობთა კავშირის კრებამ გადასინჯა წესდება და მტკიცე შესწორების შემდეგ შეუდგა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნებს. ამ დროს დარბაზში შემოიღის ამ დღეს მოსკოვიდან დაბრუნებული კ. მარჯანიშვილი. მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით და ოვატეებით ეგებება საყვარელ მასწავლებელს. უკანასკნელი, მიუხედავად მზგაზრობის გამო დილოლობისა, ესალმება-რა ყრილობას, უამბობს თანამედროვე ხელოვნების ამბებს რუსეთში, უსურვებს ახალგაზრდებს საქმიანობას და თეატრის უშუალო საყვარელს.

შემდეგ ამისა ყრილობის მიერ არჩეულ იქნა საბჭო შემდეგის შემაღენლობით: აკაკი ფალავა (თავმჯდომარედ), ვიჩესლავ ჯიქია, აკაკი ვასაძე კ. მურულუი, ვ. ანჯაფარიძე და პ. კანდელაკი.

სარევიზიო კომისიაში: პ. კობახიძე, პ. კორიშვილი და ვ. პატარაია.

კვლ კავშირში.

სრ. საქართ. მსახიობთა ყრილობამ, რომელსაც გაეთიშა კორ. „დურუჯი“, განაგრძო კრება და დურუჯის შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ყრილობა ეგებება-რა ყოველგვარ პროგრესულ ჯგუფს ამ კორპორაციას სიხარულით, რომელიც სათეატრო ცხოვრებაში განახლებს შეიტანს, იმავე დროს აღიარებს, რომ არსებული კორპორაცია „დურუჯი“ თავისი გამოსვლით და მინიფესტით ყოვლად მიუღებელია და აღნაშფოთებელი, მკმობს მათ მინიფესტსა და გამოსვლას“. ეს რეზოლუცია მიღებულია ერთხმად, ერთის გარდა, რომელმაც თავი შეიკავა. დურუჯის კორპორაცია ამ რეზოლუციის შედგენაზე გავიდა.—გაყვავა 21 კაცი, დარჩა—112.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობა, სარევიზიო კომისია მომავალ მუშაობისთვის. გამგეობა: საპატიო თავმჯდ. ვ. აბაშიძე; ნუცუ ჩხეიძე—თავმჯდომ. მ. ქორელი, ვ. ფრონისპირელი, ა. წუწუნავა, შ. დლიანი, ტ. აბაშიძე; საპატიო წევრებად: მ. საფ. აბაშიძე, ვ. გუნია, ე. ჩერქეშიშვილი, ნ. ჩხეიძე, ნ. გოციორდი.

მსახიობთა კავშირმა და ახალ მსახიობთა კავშირმა ქონება გაიყვეს...

დამსწერ.

„თეატრი და სხოვრეპა“-ს საღამო

(ივლისის 5 ახალ კლუბში).

ბეგრს არ უნახავს ასეთი საღამო და ბეგრსაც არ დავეწყებოდა იგი როგორც ერთი მშვენიერი, იშვიათი საღამოთვანი.

მოავლად მოზღვივებულ ნიორ ხალხს კლუბის დარბაზი და ბალი ვერ იტყვდა.

დაიწყო თარხნიშვილების მომზიბლავი ჰანგებით; ალ. ოღანეზაშვილმა ჰიანურზე აკენესა ჩარგა, შემდეგ მარო თარხნიშვილმა ალ. ოღანეზაშვილის ჰიანურზე მიბნედილ ზედმეტად კილოთი დაამღერა „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“. მიუხედავად იმისა, რომ მთელ ბალში ზღვა ხალხი ქოთქოთობდა, გაქედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მაროს ჰანგებს და საშა ოღანეზაშვილის სიმთა ქვეთინს. სახელმწიფო ოპერის მსახიობებმა ლაღო კასაძემ და გ. ვენაძემ არა-ჩვეულებრივის გრძობით იმღერეს,—საზოგადოება ზედი-ზედ იწვევდა მათ მზურვალე ტაშით. ცეკვის ოსტატმა არბატოვმა და პრიმაბალერინა ლეონოვამ იცეკვეს „აღმოსავლეთი“.—მათი ტანის მოქნილობა, საუცხოვრო რხევა და ყოველი ხაზმოსმა სიამით ავსებდა დარბაზს.—საღამოს მშვენიერებას ოღნავ ჩრდილი მოაფენდა დიასახლისის თამარა წერეთელის დეჰეშამ, როცა საღამოს ერთმა გამგეთავანმა გამოაცხადა: „ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ქიათურაში მოკემწყვდიე და ვერ ვასწრებ ჩამოსვლას“. სამაგიეროდ ანა არლოვა იმღერებო. ამ განცხადებას საზოგადოება ტაშით შეხედა... ანა არლოვამ მართლად მოაჯადოვა საზოგადოება თავისი ლამაზი ბოშური სიმღერებით. ბარე შვიდჯერ გამოიხმეს... სახალხო თეატრის—„ჯეირანისკოროპორაციამ 5.

ქანკეტაძის თაოსნობით—ქ. მინდაშვილმა, მ. ქართველიშვილმა, ნ. ჩიხლაძემ, კრავიშვილმა, ლ. ადამიძემ, ელ. იანქოშვილმა და რ. ჯიბლაძემ მიხდნით წარმოადგინეს ე. გუნიას „არეგ-დარია“. ბალში ორ ადვლას ვაიმართა კაბარე; ერთს ხელმღღვენლობდენ ცნობილი ყარაოლეული ზახარ ზახარიჩი თავის სცენებით, მოსწრებული სიტყვებით, საარაკო ცეკვით და სტუდენტი კოლია მისურაძემ, კინტოურად მორთული, ხოლო მეორე ადვლას—მსახიობნი. ნიკ. აივაზაშვილის მცირე გუნდმა თვისი საუცხოვო სიმღერებით უზომოდ დაატკბო მონადიმენი. სტუბურები მეორე დღის დღის 8 საათამდენ ლინობდენ. საღამოს განგებდენ შალ. იმედაშვილი და ზურ. მგალობლიშვილი, ეხმარებოდენ სხვა ახალგაზდანი და მანდილოსანნიც, რომელთა ვინაობასაც შემდეგ ნომერში დაგებუკადეთ.

დამასწრე.

რედაქციისაგან

ამ ნომრისთვის გამზადებული წერილები: არ, ციხისთავის „ერთი კრების შთაბეჭდილება“, ძველი მუშის „თვითმზყრობელობასთან ბრძოლაში დაღუპულნი, ასოთ-ამწყობი ვასო ურუშაძე“, მ. ქილარჯიშვილის სიტყვა, რეცენზიები, დამა-სოფელი და სხვ. შემდეგი ნომრისთვის გადაიღო.

ფოტოგრაფია

ენსიხი შჰანიასი

გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთველის პრ. № 8, მუშათა სასახლის პირდაპირ. ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პიროვნულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, აღიღებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

შეკვეთებს ასრულებს რიგზე, ხელოვნურად. სურათების გადაღება დღის 9 ს.—საღ. 6 ს. აქვე მოიპოვება რეკლამიუციის ბელადების



„თეატრი და სხოვრეპა“-ს

რედაქცია მოთავსებულია სასახლის ქ. № 5, მეორე სართულში.—ახალი კლუბის შესავალიდან მარცხენა მხარეს (ყოფ. ქართ. თეატრი). დია: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—8 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილით 10—2 ს. აქვე მიიღება ხელისშოყერა 1924 წ. ეურ.

„თეატრი და სხოვრეპა“-ზე

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით 6 მან. (გავ ზავნით).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

